საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება 174/04
2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. თბილისი

სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტისა და 21-ე მუხლის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების“ 8^3 მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკებად განისაზღვროს შემდეგი კომერციული ბანკები:

ა) სს „თიბისი ბანკი";

ბ) სს „საქართველოს ბანკი";

გ) სს „ლიბერთი ბანკი".

მუხლი 2

ამ ბრძანების პირველ მუხლში მოცემულ კომერციულ ბანკებს დაუწესდეთ სისტემურობის ბუფერი შემდეგი განაკვეთებით:

ა) სს „თიბისი ბანკი“ – 2.5%;

ბ) სს „საქართველოს ბანკი“ – 2.5%;

გ) სს „ლიბერთი ბანკი“ – 1.5%.

მუხლი 3

სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, დაიცვან წინამდებარე ბრძანების დანართ №1-ში დადგენილი სისტემურობის ბუფერის განაკვეთები მითითებული პერიოდების შესაბამისად.

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**

დანართი №1

სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკებისთვის დაწესებული სისტემურობის ბუფერის განაკვეთები შესაბამისი პერიოდების მიხედვით				
სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკი	**პერიოდი**			
	31/12/2018	**31/12/2019**	**31/12/2020**	**31/12/2021 და შემდგომ**
სს „თიბისი ბანკი“	1.0%	1.5%	2.0%	2.5%
სს „საქართველოს ბანკი“	1.0%	1.5%	2.0%	2.5%
სს „ლიბერთი ბანკი“	0.6%	0.9%	1.2%	1.5%